როცა ისტორიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლად დავინწყე მუშაობა, ოცდაათი წლის ვიყავი. პირველი კითხვა, რაც ჩემს თავს დაუფსვი, იყო ის, რისი შეთავაზება შემქმნელი ჩემზე არც თუ ისე უმცროსი ადამიანებისთვის. ამ, ერთი შეხედვით უწყინარმა კითხვამ მოსვენება დამიკარგა და თვითძიების, საკუთარ შინაგან შრეებში ხეტიალისკენ მიბიძგა, რამაც თვალწინ გადამიშალა როგორც ჩემი, ასევე მოსწავლეთა საოცარი შინაგანი სამყარო. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ სწორედ ეს იყო ჩემი შინაგანი მდინარების ძიების გზა და მტკიცე ნაბიჯებით მივეყვი მას.

მაშინ, როცა ჩვენ გარემო გამოდგებით ისმის სიტყვა განათლება, ძალზე იშვიათად თუ ვმსჯელობთ იმაზე, მაინც რას ვგულისხმობთ მასში და რა გვინდა, რომ გადავცეთ მისი სახით ბავშვებს, რა თვისებები ეხმარება ადამიანს ადრეული ასაკიდანვე პიროვნულ ზრდაში და წარმატების მიღწევაში? თანდაყოლილი უნარები თუ ხასიათის თვისებები?

ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებლად ყველაფერში გამარჯვება უნდა მოგვეპოვებინა, – იქნებოდა ეს შეჯიბრებები, კონკურსები, ვიქტორინები, ოლიმპიადები თუ სხვა საგანმანათლებლო რბოლანი. ეს კი ყოველთვის ვერ მოიხდენია, შეუძლებელია, ყველგან და ყველაფერში უძლველი იყო, გამარჯვებული ერთია, გამარჯვების მსურველი კი – მრავალი.

ამის ფონზე, მცირედი წარუმატებლობაც კი, იწვევდა ფრუსტრაციას, საკუთარ თავში ჩაკეტვას, ცნობისმოყვარეობის დაქვეითებას. ვიღაცას დაავინჯავს ესწავლებინა ყველაზე მთავარი, ერთი შეხედვით, პარადოქსული მოსაზრება – წარმატებისთვის აუცილებელია დავმარცხდეთ.

დღესაც საკმაო პოპულარობით სარგებლობს ბიჰევიორისტული მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მიიჩნევა, რომ ბავშვები მექანიკური გზით ვითარდებიან და რომ მათი ქცევა განპირობებულია იმ დადებითი თუ უარყოფითი განმტკიცებით, რაც გამოცდილებით დაავაროვებს.

მასწავლებლის თვითმიზანი კი უნდა იყოს შემდეგი: უარყოფითი განმტკიცება იყოს ისეთი ქცევის მასტიმულირებელი, რომელიც ბავშვისთვისაც იქნება წარმატების გასაღები (დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში წარმატებაა მიზანი, რომლისკენაც ვისწრაფვით). თუ შევცვლით მარცხის შესახებ არსებულ პესიმისტურ შეხედულებას და ოპტიმისტურად განვი-

ხილავთ (არა როგორც მტკივნეულ, დამამცირებელ და გამოუსწორებელ მოვლენას), მაშინ შეიძლება მივიდეთ იმ აზრამდე, რომ თუ ვიცი, როგორ არ უნდა დავმარცხდე, მაშასადამდე ვიცი, როგორ უნდა გავიმარჯვო.

მართალია, ზოგიერთი უნარი ფრიად მექანიკურია – თუ მოსწავლეს დავავალეთ ჰანიბალზე ხუთი წიგნის და სციპიონ აფრიკელზე მხოლოდ ერთი გვერდის ნაკითხვას, ადვილად საფარაუდოა, რომ მას ბევრად მეტი ეცოდინება ჰანიბალზე, ვიდრე სციპიონ აფრიკელზე. მაგრამ როცა საქმე ეხება ადამიანის უფრო ღრმა და ფაქიზი ელემენტების განვითარებას, აქ საქმე გაცვილებით რთულდება. მაგალითად, იმედგაცრუების დაძლევის საათობით ბუჯითად ვარჯიში ვერ მოხერხდება.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმსარებელი ფუნქცია კოგნიტური მოქნილობა და კოგნიტური თვითკონტროლი გახლავთ. კოგნიტური მოქნილობა გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია პრობლემიდან ალტერნატიული გამოსავალი ნახოს; შეუძლია ჩაკეტილი სივრცის გარეთ ხედვა და უცხო ვითარებებში წინააღმდეგობების გადალახვა. კოგნიტური თვითკონტროლი კი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია შეაფერხოს ინსტინქტური ან ჩვეულებითი რეაქცია და ჩაანაცვლოს უფრო ეფექტურიანი, რომელიც ზედამართვ არ ჩანს. თუ ამ ორივე უნარს მთავარი ადგილი უკავია სწავლებაში, მოსწავლე სწავლობს, როგორ დაძლიოს მტკივნეული გამოცდილება და წინააღმდეგობა გაუწიოს ცდუნებას.

საშუალებები, რომელთა წყალობით ვიძინებ ან ვკარგავთ ამ უნარ-ჩვევებს, არც შემთხვევითია და არც უსისტემო. როცა უმართავი იმპულსებით ხართ შეპყრობილი და უარყოფითი ემოციები გონებას გიფანტავთ, ძნელია ანბანის სწავლა, გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა, მნიშვნელოვანი თარიღების დამახსოვრება ისტორიაში და ა.შ.

დღეს, როცა უფრო და უფრო ვუახლოვდები საკუთარ შინაგან „მდინარებას“, მე, როგორც ადამიანი-მასწავლებელი, ვთვლი, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ვაწყდებოდი ისეთ მოსწავლეებთან, რომელთაც უჭირდათ: თავის მოთოკვა; ვერ უმტკიცებდნენ იმედგაცრუებას; დიდხანს ვერ წყნარდებოდნენ პროვოცირების შემდეგ. ბევრად მარტივად მეჩვენებოდა, დიდხანს შევყოვნებულყავი იმ გაკვეთილზე, რომელიც ვერ გაიგეს, ვიდრე გავმკლავებოდი იმ პრობლემებს, რომელიც დაკავშირებული იყო მათ წარუმატებლობასთან, მარცხთან.

ამაზე ფიქრმა მიმიყვანა საკუთარი, არც თუ ისე შორეული გამოცდილების ანალიზისკენ – ერთხელ, სკოლაში სწავლის პერიოდში, მონაწილეობა მივიღე ხატვის კონკურსში, სადაც ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დავიკავე. მაშინ პირველად დავრჩი სრულიად დაუცველი საკუთარი მარცხის პირისპირ – ოჯახი, სკოლა, მეგობრები – ყველანი მინის სქელი კედლის მიღმა აღმოჩნდნენ და მეჩვენებოდა, რომ ჩემ წინააღმდეგ იყვნენ გაერთიანებული. მას შემდეგ თორმეტი წელი გავიდა, მაგრამ ამ იმედგაცრუების გემოს დღემდე ვგრძნობ. მე არ აღმომაჩნდა არანაირი მექანიზმი, ჩვევა, გამეკონტროლებინა ეს არასასიამოვნო გამოცდილება, რადგან ჩემი ხატვის ნიჭის შესახებ მასწავლებელთა მოლოდინები გადაჭარბებული იყო. ამ შემთხვევის შედეგად განცდილი იმედგაცრუების რეალური ზეგავლენა ჩემს სხეულზე ღრმად, კანქვეშ ჩაინერა.

მაშინ, როცა ჩემი მოსწავლე აღმოჩნდა იმავე მდგომარეობაში, ვიფიქრე, რომ მე ეს უკვე გამოვლინე მქონდა და თუ მე არაფერ შემამეგლა ხელი ამ დროს, ახლა სწორედ ის დრო იყო, სხვას დაეხმარებოდი იმის გაზრებაში, რომ ეს მცირე წარუმატებლობა არაფრის დასასრული არ არის.

და თუ მე დავიჭირე ეს ნამი, გარდატეხის მომენტი, როცა ადრეული ჭრილობები მავნე გადანწყვტილებების მიღების, იმედგაცრუების, ხელის ჩაქნევის, არაცნობისმოყვარეობის მიზეზი ხდება, მაშინ ბავშვებს შესწევთ უნარი ან პოტენციალი მაინც – ხელახლა გაიაზრონ თავიანთი ცხოვრება. მასწავლებელს შეუძლია ის ნამი სხვაგვარი შემობრუნების, გარდატეხის, ძირფსვიანი გარდაქმნის ნამად აქციოს – როცა ახალგაზრდა ადამიანი მოახერხებს, ზურგა აქციოს თითქმის უტყუარ მარცხს და გეზი წარმატებისკენ აიღოს.

და ჩემთვის რომ ეთქვათ, როგორ მასწავლებელს ვისურვებდი, ვიტყვი, რომ, დიხ, ვისურვებდი სწორედ ისეთ მასწავლებელს, რომელიც მასწავლიდა არა გამარჯვებას, არამედ საკუთარი მარცხის მართვას.

**დაჯი თოღუა**

*შუახვეის მუნიციპალიტეტის ცხემლის საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების უფროსი მასწავლებელი, პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე*





# პიროვნების დაბალება

## ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „ივის“ მიხედვით

საუკუნეებმა დაგვიტოვა ავადსახსენებელი ბელადებისა და მათ მიერ შექმნილი ტოტალიტარული სახელმწიფოების სახელები. ტოტალიტარიზმისთვის, როგორც პოლიტიკური რეჟიმისთვის, დამახასიათებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სრული კონტროლისკენ სწრაფვა, დემაგოგიით, ცრუ დაპირებით, ფარისევლობით გავლენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ მასებზე. ტირანი ბელადები ერთპიროვნულად მართავენ ქვეყანას, კანონი კი არ არის უზენაესი, არამედ მმართველის ნება-სურვილი. მათ მმართველობას, ხშირ შემთხვევაში, იცავს ბრბო, რომელიც წარმოადგენს დიდ უმართავ, გაღიზიანებულ ჯგუფს, რომელში გაერთიანებულ ადამიანებს მძაფრი ემოციური განწყობა და შემოსაზღვრული ფიზიკური სივრცე აქვთ. ტოტალიტარული სახელმწიფოს მსხვერპლი ხდება ისინი, ვინც სხვა ადამიანებისგან განსხვავდებიან ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებით, დამოუკიდებელი აზროვნებით, პრინციპულობითა და რეალობის ზუსტი აღქმით. ასეთი გამორჩეულობის გამო ისინი ხდებიან ტირანთა მსხვერპლი, თუმცა, ყოველთვის ტოვებენ კვალს, მათ გაკვალულ გზას ვიღაც ახალი მიუყვება, რომელმაც ტირანის თვალეში შემყურე ბრბო თავისკენ უნდა მოატრიალოს და ტირანის წინააღმდეგ მიმართოს. ასე იყო ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებიდან დღემდე. ეს პროცესი ნისქეილის ბორბალს ჰგავს, რომელიც თავისი ქვის ქვეშ, ხორბლისა და სიმინდის მარცვლების ნაცვლად, სრესს მწერლებს, პოეტებს, ხელოვანებსა და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს.

როგორც ნიკოლაი ბერდიაევი წერს: „პიროვნების არსებობა მსხვერპლის გაღებას გულისხმობს, შეუძლებელია პიროვნების არსებობა მსხვერპლებებისა და სიყვარულის გარეშე, სხვისკენ, მეგობრისკენ, საყვარელი ადამიანებისკენ მიმავალი გზის პოვნის გარეშე. თავისი ფასეულობების დამკვიდრებისას პიროვნება გარ-

დაუვალად შეეტაკება საზოგადოებას.“  
 ჯემალ ქარჩხაძე, მოთხრობაში „ივი“, უძველეს ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდზე მოგვითხრობს. ნაწარმოებში კარგად ჩანს ტოტალიტარული სახელმწიფოს მახასიათებლები, როგორც ემორჩილება პირველყოფილთა ტომი ბელადის ძალაუფლებას.

ნაწარმოების სათაური „ივი“ გრამატიკულ ენაზე პირის ნაცვალსახელია. ჯემალ ქარჩხაძემ, მოკლე და კონკრეტული სათაურით, ნაწარმოების დასაწყისშივე გააკეთა ერთგვარი მინიშნება, რომ პიროვნება, რომელიც ივია, გამიჯნულია საზოგადოებისგან, იგი სხვაა, გამორჩეულია, სწორედ ამიტომ ეშვება დიდი დაძინების ხახაში. მოთხრობაში კარგად ჩანს, როგორ აშინებთ პირველყოფილებს ივის გამართულობა, სწორედ ეს განსხვავებულობა იწვევს მათ შორის ფარულ კონფლიქტსა და შიშს. „ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. გრძელი ხელები ლამის მიწაზე დასთრეფდა. შუბლი ვინცრო და ბრტყელი ჰქონდა, კბილები – მრისხანე და დაკრეჭილი“. პირველყოფილების ერთი დიდი, ვეებერთელა თვალი მისჩერებოდა ივის. იგი კი გამოეყო ჯოგს. იმიტომ, რომ მასში გაიღვიძა ადამიანურმა გრძობამ – სიყვარულმა, სილამაზის აღქმისა და განცდის უნარმა. მთავრის შუქით მოხიბლული საბოლოოდ გათავისუფლდა განსხვავებულობის შიშისგან და გამართა ნელში, ხოლო ნის მიმართ განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ უზიჰდა, ქვიშაში დაეხატა გოგო. ივიაში სიყვარული გრძობამ გააღვიძა ხელოვანი. მან ბელადიც დახატა ქვაზე და ყველას აჩვენა, ბელადი კი შეშინდა და თქვა: „ბელადი ივი არ არის“ და მის სიტყვებს „ცხელი ხიფათის სუნი აუვიდა, ესე ივი ბელადმა ისეთი სიტყვა თქვა, როგორც „ვთქვი და მორჩა“. ივი „თანამოძმეებმა“ უნდა აიყვანონ მალალ მთაზე და დიდი დაძინების ხახაში გადააგდონ. თანამოძმეებს პირობითად უწოდებს მწერალი, რადგან არც ისინი იქცევიან ბელადზე უკეთესად, მათ ხმის ამოღება და ივის დაცვა არ შეუძლიათ. ირგვლივ დუმლია, „მოლოდინის მძაფრი

სუნი“. პირველყოფილებს აინტერესებთ, როგორ გადაეშვება სადღაც უსასრულობაში ზეანეული, ამაღლებული. ისინი მოხრილები არიან, ხელები მიწაზე უწყვიათ, ივი კი გამართულია. რატომ არის სხვანაირი? უკვირთ და მისი განსხვავებულობა არ მოსწონთ, სწორედ ეს არის მიზეზი განაჩენისა. მიდის, მიდის, მიდის მარტო, იქ, სადაც ბოლო ხე დგას. ივიმ უსასრულობაში გადაშვებისას ციკაბო აღმართი უნდა აიაროს, ციკაბო იმიტომ, რომ ციკაბოზე სიარული ძნელია, ისევე, როგორც სიკვდილის მოლოდინი. ის მარტოა, დაუცველია, თვლებდახუჭულია, არ უნდა გაგრძელების დანახვა. მალე ივის კივილი დიდი დაძინების ხახაში იკარგება, „თანამოძმეები“ კი გამარჯვების ყიფინას დასცემენ და გამოქვაბულში ბრუნდებიან. „ის აღარ დაბრუნდება“ – უხარიათ. უკვე ყველა ერთნაირია, ხელებდაშვებული, ბრტყელშუბლა, მათ აღარაფრის ეშინათ, მაგრამ ივის გზის გამგრძელებელი იქვე ახლოსაა, ივის გზის გამგრძელებელი – ზუა, ივი ტოვებს თავის კვალს – სინათლეს.

„ივი პირველი თავისუფალი პიროვნებაა დედამიწაზე, მაგრამ თავისუფალ პიროვნებასთან ერთად ამქვეყნად ჩნდება ტირანიაც, თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობაც. სადაც არის ივი, იქ არის ბელადიც და პირიქით, ეს წყვილი მუდმივად თან სდევს კაცობრიობის ისტორიას“ (ვასაძე 2008: 202).

**ნონა კევიციანი**  
 სსიპ ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლა,  
 უფროსი პედაგოგი

**დამონებული ლიტერატურა:**  
 1. ვასაძე 2006: ვასაძე თ., ქართული ლიტერატურა 10, გამოცემა „ლიტერა“, თბილისი 2006.  
 2. ვასაძე 2008: ვასაძე თ., ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია II, თბილისი 2008.

# შოთა რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის სწავლებისათვის

გაკვეთილის ეპიგრაფად გამოვიყენებთ აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძისა და პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის სიტყვებს: „რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველი ჰუმანიზმია.“

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული ფენომენის უმაღლეს გამოვლინებად რჩება დღევანდელ საქართველოში.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამუშავების პერიოდში ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ მოსწავლეებისთვის ნათელი გახდეს, რაში მდგომარეობს რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ისინი, ტექსტის შესწავლის კვალდაკვალ, გამოკვეთენ და შემდეგ საუციალოურ გაკვეთილზე მსჯელობენ საკითხებზე:

- რუსთაველის შეხედულება ცხოვრებაზე, ადამიანზე;
- რუსთაველის შეხედულება ზნეობაზე, ეთიკაზე.

საკითხები ჩამოწერილია დაფაზე. ერთი მოსწავლე იწყებს მსჯელობას, განავრცობენ და ახალი მონაცემებით ავსებენ სხვა მოსწავლეები. ყველა საკითხს რეზიუმეს უკეთებს მასწავლებელი.

ზედმეტი არ იქნება, თუ მოსწავლეებს გავაცნობთ გამოჩენილ ადამიანთა გამოხატულებებს:

„რუსთაველის ყურადღების საგანია ადამიანი-ამქვეყნიური გარემო – მატერიალური გარემო.“

ალექსანდრე ბარამიძე

„ადამიანი, მისი ბედი, მისი ცხოვრება – აი, მთავარი თემა ადრეული აღორძინების ამ ჰუმანისტური პოემისა.“

შალვა ნუცუბიძე

„ვეფხისტყაოსანი“ აპოლოგია ადამიანისა.“

ედმონ ჟალუ

„რუსთაველი დგას ამქვეყნიური, რეალური, მატერიალური ცხოვრების ნიადაგზე და შთაბეჭდილებად უმღერის ადამიანსა და ადამიანობას.“

ალექსანდრე ბარამიძე

ტექსტის ცოდნა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გააკვირონ, რომ რუსთაველის აზრით, სამყარო შექმნა ღმერთმა და შექმნა იგი ადამიანებისათვის: „შე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ...“, „ჩვე, კაცთა, მოგვცა ქვეყანა...“

იგი „ტურფა საბაღნაროა“, მუდმივ მოძრაობაშია. ადამიანები აკლდებიან და ავსებენ მას, „ივი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

ცხოვრება ლამაზია, მაგრამ წინააღმდეგობებით, დაბრკოლებებით არის საესე. სატანაც ტრიალებს უთვალავი ფერებით საესე ქვეყანაში, მაგრამ ცხოვრების ცენტრში დგას ადამიანი.

რუსთაველს სწამს ადამიანის ყოვლისშემძლეობა. მთავარია, ადამიანმა არ დაკარგოს იმედი, არ დაემოწონს ბედს, არ შეუდრკეს გაჭირვებას – აი, რუსთაველის დიდაქტიკა და ცხოვრების სიბრძნე.

მოსწავლეები აანალიზებენ აფორიზმებს:

„ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდა მოცახვებდეს“;  
 „არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან“;  
 „ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“;  
 „ტკბილს მწარე ჰპოვებს“;  
 „მაშინ ღვინი ამო არის, რა გარღიხდის კაცი ჭირსა“.

არა მზამზარეულად მორთმეული, არამედ ბრძოლით მოპოვებული ცხოვრება მიმზიდველი, „ამო“ – ასეთია რუსთაველის დასკვნა.

შეიძლება ცხოვრებამ დროებით დააძაბუნოს ადამიანი /ტარიელი/, მაგრამ მან სხვები დაინხაროს /ავთანდილი, ფრიდონი/, მხარში ამოუდგნენ და გააღვიძონ ის უდიდესი ძალა, რომელიც მასში /ტარიელი/ ცხოვრებამ მხოლოდ დროებით ჩახშო. ადამიანი ისევ იპოვის ძალას და, მეგობრების დახმარებით, მიაღწევს ბედნიერებას. ასეთია ადამიანური სიკეთის რუსთაველისეული გაგება.

მთავარია, ადამიანი ჭირს გაუმადრდეს /„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“/, გაჭირვებას არ შეუდრკეს და მოიხმაროს გონება.

მოსწავლეებს გასაანალიზებლად ეძლევათ აფორიზმები:

„ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე მოავაროს“;  
 „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“;  
 „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდა“.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები დასკვნებიან: რუსთაველმა თავისი გმირების ცხოვრების, მოქმედების, საქმიანობის, ბედთან ბრძოლა-ჭიდლის მაგალითზე გვიჩვენა თავისი მსოფლმხედველობის სისწორე – ადამიანი უძლიერესი ქმნილებაა, იგი მოწოდებულია მოქმედების, ბრძოლის, ძიების, სიკეთის სამსახურად.

„ვეფხისტყაოსანი“ არის სამართლიანი ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების ჰიმნი.“

ალექსანდრე ბარამიძე

„ეს არის სიბრძნის წიგნი, ადამიანის მართებული ქცევის სახე.“  
 ჰერმან ბუდენიგი

რუსთაველი უმღერის მალალ ზნეობრივ მორალს. მისი გმირები მალალი ზნეობის ადამიანები არიან, „ზრდილინი, წყნარნი და ცნობილინი“. მეფე როსტევენი მდაბალი, მორჭმული და განგებინია, თინათინი ზრდილი ასულია მეფისა, თავმდაბალი და მამის პატივისმცემელი.

„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“, მამის „სწავლას ბრძნად მოისმინებდა“ და იქმოდა „საქმესა მამისაგან სწავლებულსა“.

ფაქიზია მათი მამაშვილური დამოკიდებულება – „ჩემი ღვინი და ჯავარი, ჩემი სულისა წყალიო“, „შენ, მამისა სიცოცხლეო, თელი ქმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მიწამლეო“.

როსტევეანს ავთანდილი შვილივით ჰყავს გაზრდილი, მაგ-

რამ ავთანდილი საზღვარს არ გადადის, როცა სურს შეედავოს მეფეს, ამიტომ წინასწარ იღებს ნებას, ერთგვარ ზოდომსაც იხდის: „რაცა გკადრო, არ გეწყინოს... არ გამხადო კადნიერად“ და მხოლოდ მეფის ფიცის შემდეგ „ავთანდილ იტყვის: დავიწყო კადრება საუბნარისა“.

რუსთაველის გმირთა საუბარში, ურთიერთმიმართებაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში, დამარცხებულ მტერთან დამოკიდებულებაშიც კი უმაღლესი ზნეობის ადამიანები ჩანან. ისინი უმცროს-უფროსობის და, საერთოდ, ეთიკის ყველა წესის მაქსიმალურად დამცველი არიან.

პოეტი არ ფარავს თავის არასიმპათიურ დამოკიდებულებას უხეში ადამიანებისადმი: „ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენზედა რა პატრონია?“ – ასეთი უკმეხი პასუხი ძვირად დაუჯდა რამაზ მეფეს.

დაბოლოს, სანიშნო მორალი და მალალი ზნეობაა გამოკვეთილი გმირთა სამიჯნურო დამოკიდებულებაში... დამოკიდებულებაში, რომელიც მეუღლებრივი კავშირით გვირგვინდება; მალალმორალურია ასმათისა და ტარიელის ურთიერთობაც.

მკაცრია რუსთაველი უხეშო სიყვარულის მიმართ, მაგრამ დიდი ჰუმანისტი აქაც კეთილს ამარჯვებინებს. მას უყვარს ადამიანი, ამიტომ თვით უხეშო ქალშიც კი დადებითს ეძებს, მეგობრობის კეთილმა გრძობამ, სიკეთის სამსახურის იშვიათმა სურვილმა, ჩაკლა ფატმანში ავთანდილისადმი ხორციელი ჟინი.

საერთოდ, როგორც მკვლევრები – ნოდარ ნათაძე და სარგის ცაიშვილი – მიუთითებენ, „რუსთაველი ხატავს არა მხოლოდ ისეთად, როგორც ის არის, ფსიქოლოგიურ ნიუანსთა ისეთი მრავალფეროვნებით, რომელიც მას სიყვარულის მხატველ დიად ავტორთა უპირველეს რიგებში აყენებს“.

**იხილად გიორგაძე**  
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

**გამოყენებული ლიტერატურა:**  
 1. ალექსანდრე ბარამიძე, „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. 1975წ. თსუ;  
 2. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში. ტ. 1976 წელი, ტ. II. 1978 წელი;  
 3. ელგუჯა ხინთიბიძე, „როგორ შევისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ რუსთაველი“, კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა“ – ძველი ქართული ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა). გამოცდების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2009 წელი;  
 3. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, „რუსთაველი და მისი პოემა“, კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა“ – ძველი ქართული ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა). გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2009 წელი.

კვლევა

კვლევის ანგარიში

ამ სტატიაში განვიხილავთ ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მოკლე ანგარიშს. დამტკიცებული იქნება ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის ეფექტურობა.

სარგებელი

ეს კვლევა დაეხმარება მათემატიკის მასწავლებელს, უკეთ წარმართოს მათემატიკის ამ ნაწილის სწავლება (მთელი რიცხვების შეკრება). შექმნილი რესურსი იმდენად მარტივია, რომ შეიძლება მე-3 კლასის მოსწავლეებმაც ათვისონ.

კვლევის მეთოდები

დაკვირვებამ აჩვენა, რომ მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში არის მთელი რიცხვების შეკრების დაბალი ცოდნა. ჩავატარე ტესტირება (ტესტი №5, მთელი რიცხვების შეკრება).


ტესტი №5. გამოთვალეთ: -7+(-8), 10+(-15), 21+(-3), -9+14, 17+(-4), -22+30,... (სულ 10 მაგალითი, დრო - 20 წუთი), შედეგი ასეთია:

Table with 2 columns: კლასი, ტესტი №5, საშუალო ქულა. Rows for classes მე-8, მე-9, მე-10.

ფოკუსჯგუფმა ამ კლასებში აჩვენა, რომ წიგნით ნასწავლი მასალა რთულად გასაგებია. თვალსაჩინოება ვერ უზრუნველყოფს წესების დამახსოვრებას.

ინტერვენცია

დადგა ახალი რესურსის შექმნის აუცილებლობა. შევქმენით მთელი რიცხვების მოდელი: თეთრი და შავი კვადრატები („ახალი განათლება“, №26 (780), 2017 წელი). მივიღეთ ასეთი თვალსაჩინოება:



შექმნილი რესურსით ჩავატარე ტესტირებები (ტესტი №1, №2, №3 და №4). ტესტები შედგენილია მარტივიდან რთულამდე. შედეგი ასეთია:

Table with 5 columns: კლასი, ტესტი №1, ტესტი №2, ტესტი №3, ტესტი №4. Rows for classes მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10.

ყველა ეს ტესტი ამოწმებდა ახალი სასწავლო რესურსის ათვისების, ცოდნის დონეს, ახალი სიმბოლოების ოპერირების და მთელ რიცხვებთან დაკავშირების უნარს. თითოეული ტესტი 10 მაგალითისაგან შედგება, დრო - 20 წუთი. მაგალითად,

ტესტი №1. გამოთვალეთ: □ 5 + □ 6, ■ 6 + ■ 4, □ 7 + 0,...

ტესტი №2. იპოვეთ: □ 10 + ■ 15, ■ 26 + □ 20,...

ტესტი №3. დაწერეთ ანალოგიური ტოლობა მთელი რიცხვებით: ■ 9 + □ 3 = ■ 6,...

ტესტი №4. გამოთვალეთ: ■ 5 + ■ 3 და (-5) + (-3), □ 13 + ■ 4 და 13 + (-4),...

ამის შემდეგ ჩავატარე ისევ ტესტირება №5, რომელიც მთელი რიცხვების შეკრების ცოდნას ამოწმებს.

შედეგი ასეთია:

Table with 2 columns: კლასი, ტესტი №5 საშუალო ქულა. Rows for classes მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10.

ამის შემდეგ ჩავატარე ფოკუსჯგუფი ყველა ამ კლასში და მივედით იმ აზრამდე, რომ ჩვენ მიერ შექმნილი ახალი სასწავლო რესურსი არის მარტივი, გასაგები და თვალსაჩინო.

კვლევის მიზნები და რეკომენდაციები

კვლევის მთავარი მიზნება ახალი სასწავლო რესურსის დიდი ეფექტურობა - აკადემიური მოსწრება მე-8 კლასში 40%-ით გაიზარდა, მე-9 კლასში - 65%-ით, ხოლო მე-10 კლასში - 54%-ით.

მთავარი რეკომენდაცია:

ძველი სასწავლო რესურსით მთელი რიცხვების სწავლება შეიცვალოს ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსით.

ავლიდი ძარჩავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინდის საჯარო სკოლა

სასკოლო აქტივობა

მზეზე გაფენილი ამბები

ოცნებად მქონდა გადაქცეული აფხაზეთზე ღონისძიების მომზადება, ვიდრე სვანეთში ვიყავი, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ მოვახერხე, თუმცა...

ღონისძიება ერთი თვის წინ დაიგეგმა. თავდაპირველად, დინა მირცხულავას წიგნის პრეზენტაცია მინდოდა ფარში და ეკა წულუკიძეს შევეხმიანე, როგორც ლიტკლუბის მფლობელს, უამრავი საინტერესო პროექტის, ღონისძიების ავტორს, წარმატებულ და მრავალი სტუმრის მასპინძელი სკოლის პედაგოგს, რომელიც დაუფიქრებლად დამთანხმდა. მე-რე და მე-რე, მიუხედავად ეკას დაძაბული რეჟიმისა, გზადაგზა ვეხმარებოდი და ახალ-ახალ იდეებს ვუზიარებდით ერთმანეთს. აფხაზეთის თემა, ჩემი ოცნება, სწორედ ეკასა და დინას დევნილობამ დაბადა. კიდევ იმან, რომ აფხაზეთის ომს ფარის საუკეთესო ადამიანები შეენიერნენ მაშინ... და კიდევ იმან, რომ მე და ჩემი მოსწავლეები სემას პროექტის „ფსოუ-ზე არეკლილი ვარსკვლავები“ მონაწილეები ვართ და ვიდუო-ჩანაწერებით მათ ჩართვასაც მოვახერხებდი. ღონისძიების მუსიკალურად გასაფორმებლად იზა ხეცურიანი მოვიწვიე, რომელიც პროექტ „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილეა და პარალელურად წინარეხის სკოლაში ასწავლის.

ცრემლიანი დღე იყო, ამინდიც შესაფერი. ერთმანეთს ცვლიდა დინა მირცხულავას, 5 წლის ბავშვის მოგონებები იმ საშინელ და დევნილობის შემდგომ დღეებზე, ლექსები, სიმღერები აფხაზეთის თემაზე. უცრემლოდ ვერ მოვისმინეთ ეკას მოგონება... ემოციები გამოიწვია ჩემი სომეხი მოსწავლეების ვიდუოჩანაწერმა.

აუდიტორიამ ვერც ზურა გურჩიანის წერილი მოისმინა უემოციოდ, ბიჭისა, რომელიც კამანის ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ მამისადმი მოწერილი წერილი ქართველი ვაჟკაცის ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს.

ღონისძიების დასასრულს დინა მირცხულავას წიგნი „მზეზე გაფენილი ამბები“ გამოვფინეთ და კვლავ ავტორს ვუხმეთ, მოსწავლეებმა მისი მოთხრობები წაიკითხეს.

დღე მაინც მზიარულ და ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულდა, რაშიც წვლილი ფარის სკოლის მოცეკვავეებმა შეიტანეს. აფხაზეთისადმი მიძღვნილი დღე შედგა!

აფხაზეთი და ის ტერიტორიები, რაც წართმეულია, მანამ იქნება ჩვენი ტკივილი, სანამ არ დავბრუნდებით სოხუმში, ცხინვალში... სიმორეს არ შეუშლია ხელი სხვადასხვა კუთხის მოსწავლეების ერთიანობისთვის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შეუძლებელი არაფერია! ჩვენი, პედაგოგების ვალია, ვასწავლოთ მომავალ თაობებს, რომ ეს ტერიტორიები იმ ჩონგურის ჩანყვეტილი სიმები, რომელსაც საქართველო ჰქვია!

ლალი მარბიანი

სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლის პედაგოგი



საოქოლო გაკვეთილი

რეპრესიები საქართველოში

გაკვეთილის თემა: რეპრესიები საქართველოში
კლასი: მეთორმეტე (შესაძლებელია მეცხრე კლასშიც)
საბანი: ისტორია

გაკვეთილის მიზანი:

- საკვებო პროცესში მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ისტორიული ეპოქის აღქმა და გაანალიზება, წინარე ცოდნის გააქტიურება;
- მსჯელობითა და ავტონომიური დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, სწორი დასკვნების გაკეთება;
- არგუმენტირებული მსჯელობა.
გაკვეთილზე მოსწავლეები განვიტარებენ კვლევით უნარებს, შეძლებენ ინფორმაციის გაფილტვრას და კრიტიკულად შეაფასებენ საკითხზე საკუთარ წარმოდგენებს.
(ე.ს.გ. - ისტ. XII.3. მოსწავლეს შეუძლია XX საუკუნეში მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების ანალიზი. ისტ. XII.4. მოსწავლეს შეუძლია პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევა.)

მედიანობის მიზნები:

- მედიანობის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

გაკვეთილის შედეგი:

- მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება, მედიამოტივების ანალიზი და განხილვა.
- გაკვეთილზე (ე.ს.გ.):
- ჯგუფური დისკუსიისას, ისტორიულად, სტალინის მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების შესახებ მსჯელობა;
- ჯგუფური მუშაობისას სახელმწიფო მოწყობის სისტემების შედარება;
- თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გამოყოფა;
- უახლოესი პერიოდის ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ მსჯელობა.

შედეგის მართვა

რეპრესიები - პოლიტიკური ან სავარაუდო მონინალმდევისადმი მიმართული უკანონო ზემოქმედება (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

პროპაგანდა - ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებზე და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

გულაგი (რუს. Гулаг, აკრონიმი - Главное управление исправительно-трудовых лагерей и колоний) - შრომით-გამოსასწორებელი ბანაკების და კოლონიების მთავარი სამმართველო. გულაგის სახელით ცნობილია საბჭოთა სადამსჯელო სისტემის ნაწილი, სადაც პატიმრები, სასჯელის მოხდასთან ერთად, იძულებით ასრულებდნენ სხვადასხვა (როგორც წესი ფიზიკურ) სამუშაოს, ხშირად ძალიან ცუდ ან თითქმის გაუსაძლის პირობებში (ვიკიპედია).

ჩეკა (რუს. ЧК - чрезвычайная комиссия) - პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური (ვიკიპედია).

შინსახკომი - შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (ვიკიპედია).

სასამართლო ტროიკა - სტალინის დროს შინსახკომში ერთხანს მოქმედებდა სწრაფი სასამართლო, ტროიკა, ანუ სამეული, რომელიც უცებ ასამართლებდა „ხალხის მტრებს“ (აკა მორჩილაძე, http://www.bu.org.ge/x3517?page=4&tab=5).

რესურსები:

- კომპიუტერი, პროექტორი;
- პლაკატები.



მასწავლებლის საკითხავი მასალა

1. პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში

1920-იან წლებში სტალინი ქვეყნის ერთადერთ ბელადად იქცა, მძლავრი იდეოლოგიური მანქანა ყოველგვარ „ბუროკრატიულ გადმონაშთს“ ებრძოდა, სახელმწიფოებრიობის შემდეგ განმტკიცებისათვის სტალინი ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყო; რეპრესიებს შეეწინააღმდეგა მთელი თაობის ინტელექტუალები. ახალი სოციალური კლასის მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით, საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე წაყიდვით, საბჭოთა ხელისუფლება თავის სასარგებლოდ აბალანსებდა სოციალურ ძალებს.

ჩვენ გვახსოვს რეპრესიების პირველი ტალღა, რომელიც საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის მერე დაიწყო, დასაჯეს აჯანყებულები, მათი ოჯახის წევრები, ეჭვმიტანილები. მეორე ტალღა - მასობრივი რეპრესიებისა იყო 1937-1938 წწ. გაკვეთილის თემა სწორედ მეორე ტალღას ეხება, რომელიც დაკავშირებულია ლავრენტი ბერიას სახელთან. იგი პოლიტიკურ რეპრესიებს მოსკოვში შემუშავებული მეთოდებით ახორციელებდა. 1937-38 წლებში ხორციელდება ფართომასშტაბიანი რეპრესიები, მათ შორის ამ საშინელ პერიოდს ეწინააღმდეგებოდა ადამიანებიც, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებდათ. რეპრესიები არ იყო ერთგვარადი, პერმანენტულად მიმდინარეობდა.

გაკვეთილი

აქტივობა 1. ეპოქის უკეთესი გასაზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს 30-იანი წლების ამსახველ ორ პლაკატს აჩვენებს და სთხოვს, შეადარონ ეს პლაკატები ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.

Table with 2 columns: პლაკატი №1 „სტალინი - ბედნიერი ცხოვრების შუქურა“ and პლაკატი №2 „სტალინი - ადამიანთა ბედის გამგებელი“.

Table with 2 columns: კითხვა and სავარაუდო პასუხი. Contains questions and answers about the first poster.

Table with 2 columns: კითხვები and სავარაუდო პასუხი. Contains questions and answers about the second poster.

პასუხების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს დავით კაკაბაძის სურათს (აქტივობა 3.10წთ).

მასწავლებელი აკეთებს მცირე შესავალს, სთხოვს, კარგად დააკვირდნენ სურათს და გამოხატონ საკუთარი მოსაზრება, რას ხედავენ ნახატზე და რისი გადმოცემა სურდა დავით კაკაბაძეს ამ ნახატის საშუალებით.



კითხვა-პასუხის რეჟიმი

Table with 2 columns: კითხვები and სავარაუდო პასუხები. Contains questions and answers about the third poster.

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რამდენად ახდენს პიროვნულ თავისუფლებას გავლენას ბელადის კულტი? მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ბელადი ქვეყანაში არის „გაკერპებული“, მის ნათქვამს ყველა იჯერებს და ის ხალხის ერთგვარი წინამძღოლია.

ამის შემდეგ (აქტივობა 4.10წთ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განვლილი მასალიდან ის ცნობილი ადამიანები გაიხსენონ, რომლებიც „დიდი ტერორის მსხვერპლი“ გახდნენ. მოსწავლეები ჩამოთვლიან, მაგალითად: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციანი, ევგენი მიქელაძე და ა.შ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იფიქრონ, რეპრესიების დროს, რატომ „მოიშორა“ თავიდან საბჭოთა რეჟიმმა ეს ადამიანები. მოსწავლეები ხვდებიან, რომ ისინი უსამართლობის მსხვერპლი არიან, მაგრამ უჭირთ დასაბუთება. იმისათვის, რომ მათ უკეთეს გაიზარონ ეს პერიოდი, მასწავლებელი აჩვენებს ნანყვეტს (40:00-დან 44:00 წთ-მდე) კინოფილმიდან „ვალსი პეჩორაზე“ (https://www.youtube.com/watch?v=arLPZhN3Si4).

სამოქალაქო გაკვეთილი

ვიდეოს შინაარსი

რეპრესირება ახალ სოციალურ კლასთა მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. ქვეყანაში დაიწყო „ხალხის მტრების“ ძიება, ხელისუფლება მოსახლეობისაგან მოითხოვდა მხარდაჭერას; ვიდეოში გადმოცემულია, როგორ „მოძღვრავს“ ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი გამტარებელი რეპრესირებული ოჯახის წევრს, რატომ უნდა დაემორჩილოს ბელადის ერთპიროვნულ ძალაუფლებას – ასწავლის მოჩილებას, რადგან ურჩობა არ არის მომგებიანი. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ბელადს უნდა დაემორჩილოს, ეჭვი არ უნდა გაივლოს გულში, თორემ დასასრული ფატალური იქნება. ბელადის უსიტყვო მორჩილება კი ბედნიერი ცხოვრების საწინდარია. უნდა შეთხზა, დაწეროს, დახატოს, იმუშაოს ბელადის სასარგებლოდ. როდესაც გოგონა რუსთაველის ლექსის თქმას დაიწყებს, იდეოლოგი აჩერებს და შემდეგ ერთად აგრძელებენ სიმღერას ბელადზე.

ვიდეოს შინაარსი

ვიდეოში გადმოცემულია, რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის დაპატიმრებისა და გასამართლების სურათი. თეატრის ხელმძღვანელის დაპატიმრებით იწყება ინტელიგენციის ფართო მასების დაპატიმრება; აღწერილია პიროვნული კონფლიქტი ბერიასთან. რეჟისორი ბერიას არ ემორჩილებოდა, სანდრო ახმეტელი წარადგინეს ბელადის წინაშე, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას: თქვენ გაეცანით ერთი ოჯახის ტრაგედია, რომელიც წარმოდგენილი იყო სტალინურ სიებში. თქვენი აზრით, საჭირო არის თუ არა ყველას ხელმისაწვდომობა მსგავს ინფორმაციებზე? უნდა ვიცოდეთ თუ არა დიდი ტერორის მსხვერპლთა ისტორიები და რას მოგვცემს ჩვენ ეს ცოდნა? მოსწავლეები საუბრობენ, რომ შეუძლიათ ვებგვერდების, პლაკატების და ვიდეორესურსების საშუალებით უკეთ შეაფასონ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განვითარებული მოვლენები. ასაბუთებენ, რომ ნებისმიერი დოკუმენტის შესწავლისათვის აუცილებელია გაეცნონ სხვადასხვა ისტორიას, შეძლონ ინფორმაციის გაფილტვრა და რეალობის დანახვა. „ერთი ნაკითხვით“ მიღებული შთაბეჭდილება უნდა გადამოწმდეს და ისე დაინეროს რეალური ისტორია. **დავალება:** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ვიდეორესურსს „დიდი ტერორი – ადამიანური ისტორიები“ (<https://www.youtube.com/watch?v=9I-CcUuLeXU>) და ესეს: „იდეოლოგიური რეპრესიები“.

საშუალო განმარტება (10-ქულიანი)

Table with 2 columns: Question (პირობასთან შესაბამისობა, იცავს დროის ლიმიტს, იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს, მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა, ვიზუალური მასალის ადეკვატური აღქმისა და კრიტიკული ანალიზის უნარი, კარიკატურა, ნახატი, ვიდეორესურსი, შემოქმედებითი უნარები, აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალებდა მთელის სიზუსტით))

მასწავლებელი სთხოვს, კვლავ დაფიქრდნენ მოსწავლეები – რატომ ხდებოდნენ ადამიანები რეპრესირების მსხვერპლი, რატომ აპატიმრებენ ამ ადამიანებს, რას უქმნიან ეს ადამიანები რეალურ სამშრომლებს?!

ამის გასაზრებლად მასწავლებელი, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით (კომპიუტერი, პროექტორი), მოსწავლეებს აჩვენებს ელექტრონულ გვერდს „სტალინური სიები“ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=26&t=dict&w1=%E1%83%90>), აკეთებს მხოლოდ მოკლე განმარტებას, რომ აქ განთავსებულია იმ ადამიანთა სია, რომლებიც 1937-38 წლებში გასამართლდნენ.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას და განმარტავს, რომ ეს ერთი ოჯახის წევრების – მამა-შვილისთვის გამოტანილი განაჩენია.

მასალები განთავსებულია ლინკებზე:

- 1. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=10003>
2. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=10001>



სანამ მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას (მუშაობენ), მასწავლებელი ყველას ურიგებს ორი ფერის სტიკერს, შემდეგ შლის ფლიფარტს, რომელზეც მოსწავლეებმა თავისი საკუთარი მოსაზრება სტიკერის საშუალებით უნდა დაადასტურონ (წითელი – მომხრე, ლურჯი – მოწინააღმდეგე).



მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად (**ატმომობა 2.5წთ**) – მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მუშაობენ ერთად, რათა მოიფიქრონ არგუმენტები, რომლებიც მათ მოსაზრებას დაადასტურებს.

საპარაულო პასუხები

**მომხრე:** ჩანაწერის მიხედვით ბრალდებულები არიან მოღალატეები და ქვეყნის კეთილდღეობას უქმნიან საფთხებს.

**მოწინააღმდეგე:** ეს ამბავი შეთხზულია განაჩენის გამოტანთა მიერ, ემსახურება დიდი შიშის გაცენას.

ორივე ჯგუფი ცდილობს საკუთარი მოსაზრების დაცვას, მასწავლებელი მოკლე ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს.

მასწავლებლის მინი-ლექცია:

სტალინის ბრძანებით, პოლიტიკურ ტერორს ახორციელებდა ჩეკა. საბჭოთა მოქალაქეს ჩეკა ბრალს სდებდა საბოტაჟში, სამშობლოს ღალატში, ჯაშუშობაში და ნამებით აიძულებდა, ეღიარებინა დანაშაული. განაჩენი გამოჰქონდა ე.წ. „ტროიკას“, უსჯიდნენ დახვერტას ან გულაგში გადასახლებას 5-დან 25 წლამდე. ვიდეოში გადმოცემულია, რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის დაპატიმრებისა და გასამართლების სურათი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ გაანალიზება, მასწავლებელი აჩვენებს ვიდეორესურსს (1937 წელი. მე-6 სერია – 7:35წთ-დან 17:00წთ-მდე). (<https://www.youtube.com/watch?v=hby0nFntqCY>)

ახალი ახგაბი

სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

ახალქალაქის სოფელ კარტიკამის 300-ზე მეტი მოსწავლე უმაღლესი სტანდარტების, თანამედროვე აღჭურვილ სკოლაში გააგრძელებს სწავლას. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ სრულად რეაბილიტირებული შენობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, თეიმურაზ მურღულიამ, აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ელიზაბეთ რუდმა, და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დირექტორმა, მაგდა მალრაქემ, გახსნეს.

ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველოს“ მიერ, უკვე განხორციელდა 33 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, აქედან 6 – სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ამჟამად 28 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამუშაოები, 2018 წლის ზაფხულში კიდევ 30-33 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დაიწყება.

სკოლების რეაბილიტაციის პროექტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფარგლებში ხორციელდება. პროექტის მიზანია საჯარო სკოლების სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია, თანამედროვე სამეცნიერო ლაბო-

რატორიებით აღჭურვა და მოვლა-პატრონობის სისტემის შემუშავება. 2016-2019 წლებში, საქართველოს რეგიონებში, 90 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ხორციელდება. საქმიანობის საერთო ბიუჯეტი 54 მილიონ დოლარს შეადგენს.

თეიმურაზ მურღულია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „ჩვენს ამერიკულ პარტნიორებთან ერთად, სოფელ კარტიკამში, სრულად რეაბილიტირებული სკოლა გავხსენით. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია უნივერსალურად ხელმისაწვდომი განათლება, რაც ნიშნავს სწავლის შესაძლებლობას საქართველოს აბსოლუტურად ყველა რეგიონში, ყველა სოფელსა და დასახლებაში. შესაბამისად, ჩვენი პოლიტიკა კვლავაც იქნება ახალი სკოლების რეაბილიტაცია, გახსნა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს უკეთეს განათლებას და ღირსეულ დასაქმებას.“

მაგდა მალრაქემ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს“ დირექტორი: „დღეს გავხსენით კარტიკამის საჯარო სკოლა. აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ახორციელებს. ჯამში, საქართ-



ველოში, ფონდი 100-მდე სკოლის რეაბილიტაციას გეგმავს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უკვე დაეასრულეთ ექვსი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და ამ რეგიონისთვის გამოყოფილი 3 მილიონი ამერიკული დოლარის გრანტით განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-აღჭურვა. პარალელურად, მასწავლებლების და სკოლის დირექტორების ტრენინგები მიმდინარეობს. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ხარისხის განვითარებას.“

ნიმო აბულაძე  
ტიციან ტაბიძის სახელობის თბილისის №43 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



11 ლარი


სასწავლო პროექტები ნივთი მრავალფეროვნებაშია და მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა სახეობის პროექტებს...



ქართული I-VI კლასები ნივთი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული განვითარების...



პროფესიული უნარები დახმარება სასწავლო პროცესში...



4 ლარი



6 ლარი



6 ლარი



5.50 ლარი



14 ლარი



6.50 ლარი

მოქალაქეთა საინფორმაციო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები...



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ნაძვირი და მომნიშვნელოვანი ანბანი

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის...



სერიის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი...



სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი



15 ლარი



7 ლარი




8 ლარი




4 ლარი



12 ლარი



თავის ფასი 17.70 ლ



6 ლარი




9 ლარი



10 ლარი



10 ლარი



10 ლარი



10 ლარი



10 ლარი



39,90 ლ

ტესტები ქართულ ლიტერატურაში



ნივთი I V-XVIII საუკუნეების მხარეთმცოდნეობა

ნივთი II XIX საუკუნის მხარეთმცოდნეობა

ნივთი III XX საუკუნის მხარეთმცოდნეობა

მიმდებარე - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000...

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14

ISSN 2233-386X